პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

კვირა, 23 ოქტომბერი, 1949 წ. № 211 (8514). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალება—„პრავდის“ 22-X მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
პასუხი შეკითხვაზე—რატომ უწოდებენ ტიტო-რანკოვიჩის ნოტა-ვას „მეხუთე კოლონას“? (მე-2 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (მე-3 გვერდი).
გრიგოლ ჩიქოვანი—გმირთა გზა (მე-3 გვერდი).
სიკვდილმისჯილი რვა ბერძენი დემოკრატის ნათესავთა მიმართვა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალება

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ერა შექმნა კაცობრიობის ისტორიაში. საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ შემოქმედებითი ცხოვრებისათვის გაალვიძა მშრომელთა მილიონიანი მასები. იმ ისტორიულ გარდაქმნათა პროცესში, რომლებმაც სახე შეუცვალეს ჩვენს ქვეყანას, აღიზარდნენ ახალი, შესანიშნავი საბჭოთა ადამიანები—თავისი სამშობლოს პატრიოტები, რომლებიც ლენინ-სტალინის დიადი საქმის უსაზღვროდ ერთგული არიან.

საბჭოთა რევოლუციამ, აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, ხალხს მისცა არა მარტო თავისუფლება, არამედ მატერიალური სიკეთეც, შეძლებული და კულტურული ცხოვრების შესაძლებლობაც. საბჭოთა ადამიანებმა იგემეს თავისუფალი ცხოვრების ბედნიერება, სოციალისტური კულტურის კეთილმყოფელი გავლენა. საბჭოთა სოციალისტური წყობილების ერთ-ერთი მონაპოვარი ის არის, რომ ხალხის მასები ბეჭდვით სიტყვას ეზიარნენ. წიგნი, გაზეთი, ჟურნალი ჩვენში მთელი ხალხის კუთვნილება, მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალება გახდა.

მილიონობით პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები — ღრმად სწავლობენ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაწარმოებებს. საბჭოთა ადამიანები გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს მეცნიერებისა და ცოდნის სხვადასხვა დარგის ლიტერატურაში დაბეჭდილ ყველა ახალ წიგნს. არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არის მკითხველთა ისეთი მრავალრიცხოვანი და აქტიური არმია, როგორც ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში.

სოციალისტურ საზოგადოებაში რადიკალურად შეიცვალა მკითხველისა და მწერლის ურთიერთობა. უკვე დიდი ხანია არქივს ჩაბარდა ძველი პრინციპი: მწერალი დროდადრო წერს, მკითხველიც კითხულობს. ახდა დიდი ლენინის სიტყვები, რომლებიც მან წინასწარმეტყველურად თქვა ჯერ კიდევ 1905 წელს, რომ პროლეტარიატი შექმნის ახალ, თავისუფალ სოციალისტურ ლიტერატურას, რომელიც „სამსახურს გაუწევს არა ცხოვრებამოყირჭებულ გმირ ქალს, არა მოწყენილ და სიმსუქნით დატანჯულ „ზემოთა ათეულ ათასს“, არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მშვენებას, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ“. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ასეთი ლიტერატურა, ეს არის ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური ლიტერატურა მსოფლიოში.

საბჭოთა მკითხველი წიგნს მიმართავს, როგორც ცოდნის წყაროს, როგორც მეგობარსა და მრჩეველს. საბჭოთა წიგნი ადამიანებს ასწავლის ცხოვრებასა და შუშაობას, ბრძოლასა და გამარჯვებას. იგი ეხმარება მათ ცხოვრების პოჭქტიკული საკითხების გადაჭრაში, კომუნისტური საზოგადოების აშენებაში. საბჭოთა ადამიანი ლიტერატურას უცქერის, როგორც თავის მშობლიურ, მახლობელ საქმეს. იგი უაღრესად დაინტერესებულია მისი მუდმივი სრულყოფითა და გაუმჯობესებით. სწორედ ამიტომ არის, რომ ცოდნის ყოველი დარგის თვითეული ძვირფასი წიგნი, თვითეული ახალი მხატვრული ნაწარმოები მკითხველთა მხურვალე გამოხმაურებას იწვევს.

ჩვენი ხალხის სულიერი მოთხოვნილების მთლიანად და ყოველმხრივ დაკმაყოფილება საარსებო ამოცანაა. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა საჭირო პირობა კარგი, ხალხისათვის საჭირო წიგნების გამოსაშვებად და გასავრცელებლად. საგამომცემლო საქმე ჩვენში უმაგალითოდ განვითარდა. ლიტერატურა იბეჭდება სსრ კავშირის ყველა ხალხის ენაზე, თვითეულ რესპუბლიკას აქვს თავისი გამომცემლობანი. საბჭოთა მკითხველები ყოველწლიურად იღებენ ათიათასობით სახელწოდების წიგნს 600-700 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით. სსრ კავშირში შექმნილია ბიბლიოთეკებისა და წიგნის მაღაზიების ფართო ქსელი.

ამოცანა ის არის, რომ მთლიანად გამოვიყენოთ ეს დიდი შესაძლებლობანი, სწორად მოვაწყოთ საგამომცემლო საქმე, წიგნის გავრცელება და პროპაგანდა.

ბოლშევიკური ზრუნვა მკითხველისათვის, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ ხალხს მივცეთ მეტი კარგი და საჭირო წიგნი. ჩვენი გამომცემლობანი სულ უფრო მეტ წიგნს ბეჭდავენ, მაგრამ საბჭოთა ადამიანებს ესაჭიროებათ ისეთი წიგნები, სადაც მართლად და კარგად არის ასახული ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ცხოვრება, სადაც ყველაზე სრულად არის ახსნილი მოვლენებისა და საბჭოთა ადამიანების მუშაობის იდეური აზრი. ამავე დროს ყველა ჩვენი გამომცემლობა როდი მუშაობს კარგად. მაგალითად, ნოვოსიბირსკის საოლქო გამომცემლობა სისტემატურად ვერ ახრულებს ლიტერატურის გამოცემის გეგმას. გამომცემლობა პატივს არა სცემს მკითხველებს, — იგი ხშირად უშვებს იდეურად მანკიერ, დაუდევრად გაფორმებულ წიგნებს.

კარგი წიგნის გამოცემა როდი კმარა. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მან მიაღწიოს მკითხველამდე. წიგნის ვაჭრობა ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმეა. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიურად უნდა გაუწიონ კონტროლი წიგნის საბჭოთა ქსელის მუშაობას. იქ, სადაც სათანადოდ ფიქრობენ მშრომელთა საჭიროებაზე, წიგნის ვაჭრობა მოწყობილია სანიმუშოდ. მოსკოვის ოლქის მიტიშჩის რაიონში არის წიგნის რამდენიმე მაღაზია და კოსკი, რომლებიც ყოველდღე 1.400-1.500 წიგნს ყიდიან. მარტო ამ წლის ცხრა თვეში რაიონის წიგნის მაღაზიებმა მილიონ მანეთისაზე მეტი ლიტერატურა გაავრცელეს.

წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ბევრი დიდი ნაკლია. წიგნები ყოველთვის ვერ აღწევენ მკითხველებამდე, ხშირად ისინი რჩებიან გამომცემლობათა საწყობებში, წიგნის სავაჭრო ქსელში. ლიტერატურის გავრცელებისას ჯერ კიდევ ცუდად სწავლობენ და ითვალისწინებენ მკითხველთა ცალკე ჯგუფების საჭიროებას. „ცენტროსოიუზი“ სოფლად მეტად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს წიგნის ვაჭრობის საქმეში. სამომხმარებლო კოოპერაციის ზოგიერთ მუშაკს შემუშავებული აქვს არასწორი შეხედულება წიგნის ვაჭრობის, როგორც მეორეხარისხოვანი საქმის შესახებ.

ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაცია როდი ზრუნავს წიგნის კულტურული ვაჭრობის მოწყობისათვის. ბევრი ბელორუსი კოლმეურნე მოკლებულია შესაძლებლობას შეიძინოს მისთვის საინტერესო ლიტერატურა, ვინაიდან ბელორუსიის მთელ რიგ რაიონულ ცენტრებში წიგნის ვაჭრობა მოუწყობელია. მეტად ცუდად არის მოწყობილი წიგნის ვაჭრობა ქალაქ კალინინში. საწყობებში მილიონ ცალზე მეტი წიგნია, მაგრამ ისინი მკითხველამდე ვერ აღწევენ. ქალაქის ცენტრალური წიგნის სავაჭრო მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში, ხოლო საბიბლიოთეკო კოლექტორი და გამოცემებზე ხელმოწერის განყოფილება სარდაფებშია მოთავსებული.

უდიდესი როლი წიგნის პროპაგანდისა და ხალხის მასებში მისი შეტანის საქმეში ბიბლიოთეკებს ეკუთვნით. ჩვენს ქვეყანაში ათიათასობით ბიბლიოთეკაა. სულ ახლა-ახალი ბიბლიოთეკები ეწყობა ქალაქებში, საწარმოებსა და კოლმეურნეობებში. ამას წინათ ვორონეჟის ოლქში ჩკალოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეთა თაოსნობით დაიწყო შესანიშნავი მოძრაობა ყოველ კოლმეურნეობაში ბიბლიოთეკის შესაქმნელად. ამ ძვირფას წამოწყებას ოლქის ბევრმა სხვა კოლმეურნეობამ მიბაძა.

პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვალია მუდამ იზრუნონ ბიბლიოთეკებისათვის, მკითხველთა შორის მათი მახობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ბიბლიოთეკის მუშაკთა მომზადებასა და აღზრდას.

ჩვენს პირობებში, როცა განუხრელად იზრდება წიგნის პროდუქციის გამოშვება, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დახმარება გაეწიოს მკითხველს საინტერესო წიგნის არჩევაში. მარტო ბიბლიოთეკის მუშაკები თავს ვერ გაართმევენ ამ ამოცანას. წიგნის პროპაგანდა დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა.

წიგნის პროპაგანდაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის პრესას — ჩვენს გაზეთებსა და ჟურნალებს.

თავის ფურცლებზე კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მასალის სისტემატურად გამოქვეყნებით ჩვენი გაზეთები და ჟურნალები მკითხველს ეხმარებიან აირჩიოს მისთვის საჭირო წიგნი და სწორად შეაფასოს იგი. ასეთი მასალის ფორმა მრავალგვარია: ცალკეული გამოცემის რეცენზია, ლიტერატურის მიმოხილვა განსაზღვრულ პერიოდში ამა თუ იმ თემაზე, წიგნების სარეკომენდაციო სიები და სხვ.

საბჭოთა წიგნი კარგად ემსახურება ჩვენს ხალხს ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში. საბჭოთა წიგნი ეხმარება პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს აღზარდოს მშრომელები კომუნისტური სულისკვეთებით, იგი ძლიერი ბოლშევიკური იარაღია გახარწნილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, კულტურული ფრონტის ყველა მუშაკის ვალია ბოლშევიკურად იზრუნონ საბჭოთა მკითხველის საჭიროებისა და მოთხოვნილებისათვის, მტკიცე პროპაგანდა გაუწიონ საუკეთესო წიგნებს და ლიტერატურა შეიტანონ მასებში.

„პრავდის“ 22-X მოწინავე

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს ა. ა. სკოჩინსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქვანახშირისა და მადნეულის საბადოთა დამუშავების თეორიის განვითარების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დაბადების 75 წლისთავთან და საინჟინერო, მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით აკადემიკოსი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **სკოჩინსკი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 20 ოქტომბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მინისტრის ამხ. პ. ი. პარშინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მინისტრის ამხ. პ. ი. **პარშინის** დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და მანქანათმშენებლობის დარგში მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. პეტრე ივანეს-ძე **პარშინი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 20 ოქტომბერი.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★ ★

კეთილმოწყობის სამუშაოები მეღიქიშვილის ქუჩაზე

გაცხოველებით მიმდინარეობს თბილისის ერთ-ერთი მაგისტრალის—მეღიქიშვილის ქუჩის გაფართოება და კეთილმოწყობა. ამ უბანზე დღითი-დღე ჩაღდება ახალი სამუშაოები. 550 მეტრზე უკვე დამთავრებულია მიწის გასწორება, გაყვანილია კანალიზაცია და წყალსადენის ხაზი, მიმდინარეობს სანაღვრე ჭების მშენებლობა და კანალიზაციის მეორე რიგის სამუშაოები.

დამთავრდა ტრამვაის ხაზის გაყვანა, დაიწყო ძველი ქვაფენილის აყრა და გზის მოასფალტება. პარალელურად მიმდინარეობს გზისპირა და გაზონებისათვის მეორე რიგის ბადურების დაყენება, ქუჩისათვის ნაყარების გასწორება.

განუწყვეტლივ მუშაობენ მიწის მთხრელების, ქვისმთლელების, მებეტონეების, ქვაფენილის მკირწყლავთა ცვლები, რათა ქუჩის გაფართოებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები დაამთავრონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32 წლისთავისათვის.

ქვისმთლელი ს. დიბა დღეში 3 კვადრატულ მეტრის ნაცვლად 5 კვადრატულ მეტრ ქვას თლის, მკირწყლავები ვ. ტიხონოვი, მ. ვასილევი, მ. მონიევი დღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ. ასევე წარმატებით ასრულებენ მიწის სამუშაოებს ე. ედიშერაშვილის, თ. ლეკიშვილის ბრიგადები. მათ ვალდებულება აიღეს ყველა სამუშაო დაამთავრონ 1-ლი ნოემბრისათვის.

თბილისის ზეთსახდელი ქარხანა რეკონსტრუქციის შემდეგ

დამთავრდა თბილისის ზეთსახდელი ქარხნის რეკონსტრუქცია. რეკონსტრუირებულმა ქარხანამ წელს უნდა მოგვცეს 25 პროცენტით მეტი საჭმელი ზეთი, ვიდრე გასულ წელს. ზეთსახდელ საამქროში დადგმულია ახალი ძლავრი წნეხი, შეცვლილია გამწმენდი, სახალავი, დამფშვნელი და სხვა დანადგარები, აღმართულია ლითონის ახალი ელევატორები, მანქანები შეერთებულია საკუთარ ამძრავებთან და ა. შ.

ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად ქარხანაში აღიკვეთა დანაკარგები და მტვრიანობა, რამაც ხელი მეუწყო პროდუქციის გამოშვების ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ სექტემბერში ქარხანა თითქმის ერთი დეკადის დაგვიანებით შეუდგა მუშაობას, თვიური საწარმოო გეგმა ქარხნის კოლექტივმა მაინც 6 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულა და ამასთან შესამჩნევად გააუმჯობესა ზეთის ხარისხი.

ელსადგური მდინარე აბლარზე

ახალქალაქი. (საკ. კორ.). მდინარე აბლარზე დაიწყო 710 ცხენისძალიანი საკოლმეურნეოთაშორისო ელექტროსადგურის მშენებლობა. მიწის სამუშაოები დამთავრებულია. მშენებლობა, რომელიც კოლმეურნეებმა სახალხო მშენებლობად გამოაცხადეს, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და 1950 წლისათვის დამთავრდება.

ახალი საკოლმეურნეოთაშორისო ელსადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ ელექტროფიცირებულ იქნება 25 საკოლმეურნეო სოფელი.

სოფ. გურჯაანის ყოფილ სახელობის კოლმეურნეობა. სურათზე: მოსწავლე იზოლდა ზარდიაშვილი, რომელიც თავისუფალ დროს კოლმეურნეობას ეხმარება რთველში და დავალებას 200 პროცენტით ასრულებს.

ფოტო მ. გასპაროვისა

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 12.000 ცენტნერი ყურძენი

ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 111 პროცენტით შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი ამხ. საყვარელიძე და მშრომელთა დეპუტატების ზესტაფონის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ძაბირაძე იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 12.000 ცენტნერი ყურძენი.

ჩხარის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 5.000 ცენტნერი ყურძენი

ჩხარის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 103 პროცენტით შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის მდივანი ამხ. გოგიაშვილი და მშრომელთა დეპუტატების ჩხარის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბიბილეიშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 5.000 ცენტნერი ყურძენი.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 3.000 ცენტნერი ყურძენი

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის მდივანი ამხ. ციხისთავი და მშრომელთა დეპუტატების ყვარლის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ავაზაშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 3.000 ცენტნერი ყურძენი.

2.300 წყვილი ფეხსაცმელი დანაზოგი ნედლეულისაგან

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი ნედლეულის ხარჯვის პირადი ბარათების შემოღებისა და ტყავის სპეციალური თარგების მიხედვით გამოჭრის შედეგად თვალსაჩინო ეკონომიას აღწევს. განვლილ 9 თვეში დაზოგილია 36 ათასი დეციმეტრი საპირე და 11 ათასი დეციმეტრი საძირე ტყავი, რითაც დამატებით 2.300 წყვილი ფეხსაცმელი დაამზადეს. გარდა ამისა, გაწეულია 182 ათასი მანეთის დამხმარე მასალებისა და 4 ათასი დეციმეტრი სასარჩულე მასალის ეკონომია.

ოქტომბრის წინასადღესასწაულო დღეებში ეკონომიის ოსტატები ახალ წარმატებას აღწევენ. გამომჭრელების ვლ. აფხაიძის, პ. შარვაძისა და ა. ფხაკაძის პირად ბარათებში 2 ათას დეციმეტრზე მეტი ტყავის ეკონომიაა ჩაწერილი.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის მებრძოლი ბრიგადები საწარმოო მარკის ღირსებასთან ერთად მტკიცედ იცავენ მომჭირნეობის რეჟიმს. ს. ნუცუბიძის, ვ. იობიძისა და ვ. თედორაძის ბრიგადები უმთავრესად პირველხარისხოვან პროდუქციას ამზადებენ და 25-30 პროცენტით ზოგავენ ნედლეულს. ამის შედეგია, რომ კომბინატმა პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება 13 პროცენტით გაადიდა, ხოლო დანაკარგები, ნაცვლად 18 პროცენტისა, 6 პროცენტამდე შეამცირა.

ახალი აფთიაქები მეშახტეებისათვის

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეთა მედიკამენტებით უკეთ მომსახურების მიზნით სექტემბრის ბოლო რიცხვებში გელათის შახტში გაიხსნა ახალი აფთიაქი.

ამ დღეებში რაიონის ცენტრალურმა აფთიაქმა მოლოტოვის სახელობის შახტის საექმო უბანთან მოაწყო დამხმარე სააფთიაქო პუნქტი.

ახალი აფთიაქი და სააფთიაქო პუნქტი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით, მომარაგებულია საჭირო მედიკამენტებით.

ბინა და აბანო მწყემსებისათვის

დუშეთი. (საკ. კორ.) მლეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ხ. პეტრიაშვილი) ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე ააშენა პირუტყვის ახალი სადგომი, რომელიც 200 სულ ძროხას დაიტევს. ყიზლარშივე კოლმეურნეობა ააგებს 2.000 სულიანი ცხვრის ტევადობის ფარეხს. კოლმეურნეობის გამგეობა სერიოზულ ყურადღებას აქცევს მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ამ მიზნით საზამთრო საძოვრებზე ააშენეს კულტურულად მოწყობილი მწყემსთა საცხოვრებელი ბინა და აბანო.

სილნალი. (საკ. კორ.). სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა „შრომამ“ მდინარე იორის საზამთრო საძოვარზე ააგო ახალი ტიპის კულტურული სადგომი ცხვრისათვის. სადგომი დაიტევს 2.000-მდე სულ ცხვარს. იქვე ააგეს მწყემსების ბინა. ამავე კოლმეურნეობამ მინდვრად გასულ კოლმეურნეთათვის ააგო 8-ბინიანი შენობა.

სოციალისტური შრომის გმირები

ვ. ხ. დოგრაშვილი
მშრომელთა დეპუტატების მაიაკოვსკის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 30,3 პროცენტის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფისათვის.

მ. ა. ეგანოვიძე
მაიაკოვსკის რაიონის მაიაკოვსკის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 13,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 104,6 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

პ. ა. კიკალაშვილი
ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „იმედის“ მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე 77,7 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

გ. ხ. ცუცქირიძე
ორჯონიკიძის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე 76,7 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ვ. ბ. გოგუას თავმჯდომარეობით შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი, თუ რა მდგომარეობაა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების სტალინირის საქალაქო და ჯავის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დარგში მუშაობის მხრივ.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღნიშნულ აღმასრულებელ კომიტეტებში მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის დარგში მუშაობის მხრივ მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

აქ არ წარმოებს საჩივრებისა და განცხადებების ზუსტი რეგისტრაცია, არის საჩივრებისა და განცხადებების დაკარგვის ცალკეული შემთხვევები, არ იცავენ განცხადებებისა და საჩივრების განხილვის ვადებს, რაც მთავრობის მიერ არის დაწესებული.

აღმასკომების ხელმძღვანელი მუშაკები ზოგიერთ შემთხვევაში ფორმალურად ეკიდებიან მშრომელთა განცხადებებს. ასეთი ფაქტები მოხდა სტალინირის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში და ჯავის რაიონული საბჭოს აღმასკომში.

პრეზიდიუმმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს საჭირო სისტემატური კონტროლი არ დაუწესებია მშრომელთა საჩივრების განხილვისადმი აღმასკომის განყოფილებებში, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებში. აღმასკომები ამ მუშაობაში არ იზიდავენ დეპუტატებსა და საბჭოთა აქტივს.

მშრომელთა საჩივრების განხილვის დარგში მუშაობის ნაკლოვანებაა ის, რომ მშრომელთა დეპუტატების აღმასკომების თავმჯდომარეებსა და მათს მოადგილეებს არა აქვთ მნახველთა მიღების მტკიცედ დაწესებული დღეები და საათები.

პრეზიდიუმმა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ი. კულუხოვს წინადადება მისცა უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს მოქალაქეთაგან შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ზუსტი აღრიცხვა და დროულად განხილვა საოლქო აღმასკომში, მის განყოფილებებსა და სამმართველოებში, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სტალინირის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებში.

პრეზიდიუმმა დაავალა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, სტალინირის საქალაქო და ჯავის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის სისტემატური კონტროლი არა მარტო აღმასკომების განყოფილებებში და სასოფლო საბჭოებში, არამედ აგრეთვე დაწესებულებებსა და საწარმოებში, რეგულარულად მოისმინონ აღმასკომების სხდომებზე განყოფილებათა გამგეების, სასოფლო საბჭოების აღმასკომთა თავმჯდომარეების ანგარიშები ამ საკითხზე.

საჭიროა ყურადღებით იქნას შესწავლილი, თუ რა მიზეზები იწვევენ მშრომელთა საჩივარს, მიღებულ იქნას ზომები მათი აღმოფხვრისათვის, შემოღებულ იქნას ყველაზე მნიშვნელოვან განცხადებათა ადგილობრივ შემოწმება საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებელი მუშაკების მიერ. განცხადებათა და საჩივართა განხილვაში სისტემატურად უნდა იქნან ჩაბმული საბჭოების დეპუტატები და საბჭოთა აქტივი.

თანამდებობის პირნი, რომელნიც უსულგულოდ ეკიდებიან მშრომელთა საჩივრებსა და განცხადებებს, მიცემულ უნდა იქნან სასტიკ პასუხისგებაში.

პრეზიდიუმმა დაადგინა დაწესდეს და ზუსტად იქნას დაცული საათები მშრომელთა ყოველდღიური მიღებისა მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის, აგრეთვე საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების მიერ.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე ზოგიერთი სხვა საკითხი და მიიღო გადაწყვეტილებანი მათ შესახებ.

(საქდესი).

მივცეთ სამშობლოს მეჯი მაჯყლი

საქართველოს სს რესპუბლიკას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების რაოდენობის მხრივ. საქართველოს მეცხვარეობიდან მიღებული მაღალხარისხოვანი მატყლისაგან ჩვენი მრეწველობა დიდი რაოდენობით ამზადებს ძვირფასი შალეულისა და მაუდის ქსოვილებს, აგრეთვე მოთელილი თექის ნაწარმს.

წლითიწლობით მატულობს მატყლის რაოდენობა და ხარისხი, რომელსაც საქართველოს სსრ კოლმეურნეობები და კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობები, დამხმარე და სხვა მეურნეობები აბარებენ სახელმწიფოს, გახუწყვეტლივ უმჯობესდება მშრომელებისადმი შალეულისა და მაუდის მაღალხარისხოვანი ქსოვილების მიწოდების საქმე.

შალეულისა და მაუდის ქსოვილებით მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდგომი გაუმჯობესებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში — „მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებათა შესახებ“ დამზადებათა ორგანიზაციებს დაავალეს გააძლიერონ და გაუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, გამოასწორონ დამამზადებელ ქსელში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებათა გეგმების წარმატებით შესრულება.

გარდაბნის, მცხეთის, ყაზბეგის, ზესტაფონისა და მთელმა რიგმა სხვა რაიონებმა ვადაზე ადრე შეასრულეს მატყლის დამზადების წლიური გეგმები. ამასთან აღნიშნული რაიონების მრავალი კოლმეურნეობა მატყლის საკალდებულო ჩაბარების ვალდებულების შესრულების შემდეგ, განაგრძობს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარებას. ასეა, მაგალითად, გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებში „წითელი მარანი“ და „სოციალიზმის გზა“, აგრეთვე საგარეჯოს რაიონის კარლ მარქსის, სტალინის და კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში.

არიან ჩამორჩენილი რაიონებიც. სახელდობრ, ადიგენის, ახალქალაქის, ხაშურის და მთელ რიგ სხვა რაიონებში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარებაზე, რითაც აგვიანებენ და აფერხებენ რესპუბლიკური გეგმის შესრულებას.

საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების საქმეში ყოველთვის პირველ რიგებში უნდა იყვნენ, მაგრამ ელდარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ყანდარელი რატომღაც ასე არ ფიქრობს. მატყლს მეურნეობაში აჩერებს და აჭიანურებს სახელმწიფოსათვის მის ჩაბარებას. უარესი მდგომარეობაა წინანდლისა და ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობებში. აქ არამცთუ ამ შემოდგომაზე მიღებული მატყლი, არამედ გაზაფხულის მთელი ნაპარსიც ჩაუბარებელი აქვთ. ცხადია, მატყლის ჩაბარების გაჭიანურებით ისინი დანაშაულს სჩადიან, რაც ძირშივე უნდა იქნას აღკვეთილი.

საჭიროა გავაძლიეროთ მატყლის ჩაბარების ტემპი. ენერგიული მუშაობით უნდა მივაღწიოთ არა მარტო საკალდებულო ჩაბარების გეგმის დაჩქარებით შესრულებას, არამედ გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის მატყლის დიდი რაოდენობით ჩაბარებას.

ბ. ვლასენკო

სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს უფროსი ინსპექტორი

უზრუნველყოთ პირუტყვი ზამთარში უხვი და ნოყიერი საკვებით

ონის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები ენერგიულად მუშაობენ პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის. სოფელ ჭიორის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. ჩაგელიშვილი) დროულად და უდანაკარგოდ აიღეს 450 ჰექტარზე თივა, რომელიც მთლიანად მიზიდეს პირუტყვის სადგომ ბინასთან. აქ სილოსის დამზადების გეგმაც ვადაზე ადრე შეასრულეს. ახლა კოლმეურნეობაში გეგმის გადამეტებით ამზადებენ უხეშ საკვებს. წარმატებით მოემზადნენ საქონლის გამოზამთრებისათვის აგრეთვე სოფელ ღების ბაქრაძის (თავმჯდომარე ბ. ლობჯანიძე), მთის კალთის ტელმანის (თავმჯდომარე ე. სხირტლაძე) და გლოლის ბერიას (თავმჯდომარე ვ. ბელაშვილი) სახელობის კოლმეურნეობები. ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში გეგმის გადაჭარბებით 1.000 ცენტნერამდე თივა დაამზადეს.

მაგრამ საქონლის გამოზამთრებისათვის ყველგან ასე როდი ემზადებიან. მაგალითად, ხურუთის კოლმეურნეობა

მცხეთა. (საკ. კორ.).

პროპაგანდისტთა დასახმარებლად

მცხეთა. (საკ. კორ.). პარტიის მცხეთის რაიკომის პარტკაბინეტი სერიოზულ მუშაობას ეწევა პროპაგანდისტთა დასახმარებლად. აქ სისტემატურად ეწყობა პროპაგანდისტთა სემინარები, წარმოებს მოწინავე პროპაგანდისტთა მუშაობის გამოცდილების განზოგადება. პარტკაბინეტთან მოეწყო პროპაგანდისტთა ოთახი, სადაც გამოფენილია პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა. აქვეა სხვადასხვა თვალსაჩინო დამხმარე მასალები.

პროპაგანდისტთა ოთახი უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი მეცადინეობისათვის საჭირო მოწყობილობით.

გაიხსნა ქართული საბჭოთა მუსიკის დეკადა ბიბლიოთეკა

პირველი კონცერტი

გუშინ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა ქართული საბჭოთა მუსიკის დეკადა.

ქართული მუსიკის დეკადას მრავალი მსმენელი ესწრებოდა. მთავრობის ლოჟაში არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, მ. ბარამია, ვ. ცხოვრებაშვილი, რ. შადური, ნ. რუხაძე.

კონცერტის წინ შესავალი სიტყვით გამოვიდა საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სტალინური პრემიის ლაურეატი კომპოზიტორი შალვა მშველიძე, რომელმაც აღნიშნა ქართველ საბჭოთა კომპოზიტორების ნაყოფიერი მუშაობა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის ისტორიული დადგენილების შემდეგ.

პირველ კონცერტზე შესრულებული ქართველი ცნობილი კომპოზიტორის იონა ტუსკიას „ანტანტა სტალინზე“ (ოთხი სოლისტისა, გუნდისა და ორკესტრისათვის) ბრწყინვალედ გამოხატავდა ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას დიდი ბელადისა და მასწავლებლის, ჩვენი ყველა გამარჯვებათა შთამაგონებლისა და ორგანიზატორის ი. ბ. სტალინისადმი.

მოკლე, ენერგიული საორკესტრო შესავლის შემდეგ მღერის გუნდი, რომლის მუსიკა აგებულია ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსის—„ბაზალეთის ტბის“ სიტყვებზე. გუნდს მოსდევს სოლისტი, რომელიც ასრულებს ილიას „ელეგიას“, ღრმა გრძნობით, შინაგანი ექსპრესიითა და შესანიშნავი მელოდიურობით გადმოცემულს ი. ტუსკიას მიერ. ეს არია დიდი მხატვრული წარმატებით შეასრულა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დავით ანდღულაძემ.

კანტანტის მეოთხე (გუნდი) და მეხუთე (სოლისტი და გუნდი) ნაწილები წარმოადგენენ ი. ჭავჭავაძის დასახელებულ ლექსებში გამოხატულ იდეათა განვითარებას (ტექსტი—ა. გომიაშვილისა და ი. მოსამშვილის). ხალხი მოესწრო იმ დღეს, როდესაც გაიხსნა ბაზალეთის ტბა და მის ფსკერზე დასვენებულ ოქროს აკვნიდან ამოვიდა მზეჭაბუკი, მოაფრქვია თავის ირგვლივ ცეცხლოვანი ნაპერწკლები და გაანათა ბნელეთით მოსილი ქვეყანა. ეს ჭაბუკი—სტალინია, რომელიც მოევლინა ჩაგრულ ხალხს მის მხსნელად და წინამძღოლად.

ამ შესანიშნავი ნაწარმოების ფინალი, ღრმა ემოციური გრძნობით შესრულებული დამსახურებული არტისტების გ. გოგიჩაძის, ნ. ბელაქნელის და ოპერის სოლისტის შ. თაბუკაშვილის, გუნდის და ორკესტრის მიერ გაისმის, როგორც დიდება, როგორც მრავალჟამიერი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადისა და მზრუნველი მამისადმი.

ი. ტუსკიას „ანტანტა სტალინზე“— დიდი შემოქმედებითი გამარჯვებაა არა მარტო კომპოზიტორის, არამედ თანამედროვე ქართული მუსიკისა. ეს ნაწარმოები არტისტული ტემპერამენტით ჩაატარა დირიჟორმა ვახტანგ ფალიაშვილმა.

კომპოზიტორ ვანო გოკიელის „გმირული სიმფონია“ მიძღვნილია საბჭოთა ხალხისადმი, რომელიც გამარჯვებული გამოვიდა სამამულო ომიდან. ორი ნაწილი სიმფონიისა გამოხატავს სხვადასხვა განწყობილებებს, დაკავშირებულს ამ ისტორიულ ეპოპეასთან. სიმფონიის ფინალში გამოხატულია უძლეველი საბჭოთა ხალხის ზეიმისა და მხიარულების გრძნობები. ეს ნაწარმოები ოსტატურად შეასრულა საქართველოს ფილარმონიის სიმფონიურმა ორკესტრმა ნიჭიერი დირიჟორის ოდისეი დიმიტრიადის ხელმძღვანელობით.

კონცერტის მეორე განყოფილება გაიხსნა კომპოზიტორ არჩილ კერესელიძის კონცერტით ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. განსაკუთრებით გამოირჩეოდა კონცერტის მეორე ნაწილი, გამთბარი ლირიზმით და გრძნობათა უშუალობით. კონცერტი ჩინებულად შეასრულა ფილარმონიის სოლისტმა ქალმა თინა გოგოლაშვილმა. დირიჟორობდა ო. დიმიტრიადი. ეტყობოდა, რომ პიანისტსა და ორკესტრს აკლდათ საჭირო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება, რის გამო არაერთხელ შეიქმნა „სახიფათო“ მომენტები, რომლებიც დაძლიეს გამოცდილმა შემსრულებლებმა. მეორე განყოფილების დასასრულს შესრულებულ იქნა ახალგაზრდა კომპოზიტორის რევაზ ლაღიძის სიმფონიური პოემა — „სამშობლოსათვის“. ამ ნაწარმოების იდეა გამომდინარეობს ი. ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულის“ სიუჟეტიდან. პოემის ცენტრალური ეპიზოდი გამოხატავს თავდადებული დიმიტრის სულიერ ტანჯვას, მძაფრ შინაგან აღელვებასა და დრამატიულ დაძაბულობას, რაც დიდი დამჯერებლობით არის გადმოცემული კომპოზიტორის მიერ ბრწყინვალე საორკესტრო ხმოვანებაში. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ რ. ლაღიძის სახით ქართულ საბჭოთა მუსიკას შეეძინა ნიჭიერი შემოქმედი, რომლისაგან შემდგომ მხატვრულ წარმატებებს უნდა მოველოდეთ. პოემას ჩინებულად დირიჟორობდა ჯემალ გოკიელი.

დეკადის პირველი კონცერტი მაღალ მხატვრულ დონეზე ჩატარდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ორგანიზაციული მხარე კონცერტისა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო მხატვრულად გაფორმებული პროგრამებით, ანოტაციებით, აფიშებით. დამსწრე აუდიტორია და ჩამოსული სტუმრები აღფრთოვანებით შეეგებნენ ქართული საბჭოთა მუსიკის დეკადის პირველ კონცერტს.

ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის გამოცდილების გაზიარება

ამ დღეებში ჩატარდა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიების წევრთა გაერთიანებული თათბირი.

საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა; პროფესორმა პ. შუშანიამ დამსწრეთ გაუზიარა კომისიის მუშაობის გამოცდილება.

ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიების გამოცდილებაზე ილაპარაკეს აგრეთვე დეპუტატებმა: ექიმმა რ. რიჟინაშვილმა (26 კომისრის რაიონი), პროფესორმა ნ. სიხარულიძემ (სტალინის რაიონი), პროფესორმა დ. იოსელიანმა (ბერიას რაიონი), პროფესორმა პ. ბუაჩიძემ (ორჯონიკიძის რაიონი), ექიმებმა ს. ანთაძემ (კიროვის რაიონი), ა. კასუმოვამ, აგრეთვე საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგემ დეპუტატმა ნ. ბარკალაიამ.

თათბირმა თბილისის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს მიმართა მოწოდებით — დაუღალავად იბრძოლონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

პასუხი შეკითხვაზე

რაჯომ უწოდებენ ჯიჯო-რანკოვიჩის ხროვას „მეხუთე კოლონას“?

ამხ. პ. დავითულიანის შეკითხვა (ცაგერის რაიონი)

„მეხუთე კოლონას“ ზურგში მოქმედ კონტრრევოლუციონერთა, ჯაშუშთა და მავნებელთა ჯგუფს უწოდებენ. ასეთი გაგება მომდინარეობს ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ ფრანკოელ კონტრრევოლუციონერთა ბრძოლის პერიოდიდან.

როგორც ცნობილია, ესპანეთის კონტრრევოლუციური ჯარების სარდალმა გენერალმა მოლამ, რომელიც 1936 წლის შემოდგომაზე ოთხი კოლონით უტევდა მადრიდს, განაცხადა: მეხუთე კოლონა თვით მადრიდში მყავსო. იგი გულისხმობდა იმ მოღალატეებს, რომლებიც თავს აჩვენებენენ სახალხო ფრონტის მომხრეებად, საქმით კი ძირს უთხრიდნენ რესპუბლიკას.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ესპანელ გამცემთა რიგებში თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ ტროცკისტები. „მეხუთე კოლონა“ დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებდა შენიღბულად, აწყობდა დივერსიებს, ეწეოდა ჯაშუშობას, შემდეგ კი მან რესპუბლიკას ზურგში მახვილი ჩასცა და ხელი შეუწყო ესპანეთში ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის დამყარებას.

ამ საფუძველზე შემუშავდა ზოგადი გაგება „მეხუთე კოლონის“ შესახებ. ახლა მას იუგოსლავიელი ხალხის მტრების დასახასიათებლად იყენებენ.

ტიტო-რანკოვიჩის ტროცკისტულმა ხროვამ სამართლიანად დაიმსახურა პროგრესული კაცობრიობის სიძულვილი. მუშათა მოძრაობაში შეპარული ეს ჯაშუშები ომის მძიმე დღეებში და მის შემდეგაც თვალთმაქცურად ახერხებდნენ ბნელი საქმეების კეთებას. „ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წლებში ტიტოს, რანკოვიჩის, კარდელის, ჯილასის აგენტებმა კავშირი დაამყარეს ამერიკისა და ინგლისის სადაზვერვო სამსახურთან“ („პრავდა“). მათ უნდოდათ ხელი შეეშალათ თავისუფლებისათვის მებრძოლი იუგოსლავიელი მშრომელებისათვის, დაბრკოლება შეექმნათ ბალკანეთის ხალხებისათვის, რომლებიც ფაშისტურ რეჟიმთან ერთად თავიანთ ქვეყნებში ბოლოს უღებდნენ ექსპლოატატორული კლასების ბატონობას.

ტიტოს ხროვის გამცემლური ხაქმიანობა სრულყოფილად გამოააშკარავა ბუდაპეშტის სასამართლო პროცესმა. რაიკის, პალფის, ბრანკოვისა და სხვა ბრალდებულთა ჩვენებებმა ნათელყვეს, თუ როგორ გაიძეერულად მოქმედებდნენ იუგოსლავიის მშრომელთა მოღალატე არამზადები.

ბუდაპეშტის სასამართლო პროცესი და იუგოსლავიის არმიის გენერალმაიორის პერო პოპივოდას წერილი— „ტიტო-რანკოვიჩის ხროვის გამცემლური საქმიანობა იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში“ (გაზ. „პრავდა“. 1949 წ. 29-IX) — ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ იუგოსლავიის ახლანდელი მთავრობა უცხოეთის დაზვერვის აგენტებისა და ხალხის მტრებისაგან არის შეკოწიწებული.

თვალთმაქც ტიტოსა და მის ერთგულ ქოფაკებს ძვირად არ უღირდათ ჰიტლერელ მბრძანებელთა სამსახური ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტებისადმი მორჩილებით შეეცვალათ.

მრავალი მასალა, რომლებიც შეეხება ჯილასისა და პიადეს, რანკოვიჩისა და ვუკმანოვიჩის, თვით ტიტოსა და მისი ჯგუფის სხვა წარმომადგენელთა საქმიანობას განმათავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში, ამტკიცებს, თუ რამდენად ვერაგული როლი შეასრულეს ამ მოსყიდულმა ჯალათებმა.

მასალებიდან ირკვევა, რომ რანკოვიჩი, რომელიც 1941 წელს გერმანელმა ოკუპანტებმა შეიპყრეს, ფაშისტი დამპყრობლების დახმარებით „ოსტატურად გაიპარა“ საავადმყოფოდან და მჭიდროდ დაუკავშირდა გერმანელ ოკუპანტებს; ვუკმანოვიჩი, რომელიც სარაევოს პარტორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, ჰიტლერელთა დავალებას ასრულებდა, როცა 150 კომუნისტი გასწირა დასალუპავად, ხოლო თვითონ რაღაც „სასწაულით“ თავი დაიძვრინა; ომის დროს ტიტო შეგნებულად დევნიდა და სპობდა ხალხისათვის თავდადებულ, ბრძოლაში ნაცად კომუნისტებს, მაშინ, როცა იგი მფარველობდა თვალთმაქცებსა და საეჭვო ელემენტებს.

ახლა ყველამ იცის, რომ როცა საბჭოთა არმიამ ფაშისტ მხეცს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, ტიტოს ხროვამ ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტებისაკენ იბრუნა პირი. იგი სიხარულით მოელოდა ბალკანეთში ინგლისის ჯარების გამოჩენას. მხოლოდ საბჭოთა არმიის საგმირო საქმეებმა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულმა პოლიტიკამ იხსნა ბალკანეთის ხალხები უცხოელ დამპყრობთა მონობისაგან, შესაძლებლობა მისცა იუგოსლავიელ მშრომელებს შეექმნათ სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და ჩამდგარიყვნენ თავისუფალ ხალხთა რიგებში. მაგრამ უცხოეთის დაზვერვის აგენტებმა, ხელისუფლების სათავეში მოკალათებულმა მოღალატეებმა ჩარხი უკუღმა დატრიალეს და იუგოსლავიელ ხალხს კვლავ წაართვეს თავისუფლება.

ტიტო-რანკოვიჩის ხროვა იუგოსლავიაში ფაშისტურ - ტერორისტული რეჟიმის დამყარებას როდი დასჯერდა. იგი ოცნებობდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში კაპიტალიზმის აღდგენაზე. ამ მიზნით ჯაშუშებსა და დივერსანტებს გზავნიდა მეზობელ ქვეყნებში, ხელოვნურად ქმნიდა საზღვრებზე დაძაბულ მდგომარეობას.

უნგრეთში მოწყობილმა რაიკის პროცესმა ცხადყო, თუ რამდენად შორს მიდიოდა ტიტო-რანკოვიჩის გამცემლური ხროვის ბოროტგანზრახვა.

მშვიდობისა და დემოკრატიის თვალთმაქცი მტრები მხილებული არიან. იუგოსლავიელ ხალხს საკმაო ძალა და გამბედაობა აქვს იმისათვის, რომ ბოლო მოუღოს ტიტოს ხროვის ბატონობას.

აკ. ჩავლეიშვილი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ხალხის შემოქმედი გენია

ხალხი, რომელმაც შექმნა ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები, ერი, რომელმაც შეთხზა ხალხური პოეზიის ხელიხელ საგოგმანი ძვირფასი თვალმარგალიტები, ცხადია, სიმღერასა და ცეკვაშიც მიაღწევდა მჭვერვალებს.

ვის არ ხიბლავს და არ აოცებს ქართული ხალხური მუსიკა თავისი წარმტაცი მელოდიებით, ვის არ იტაცებს ჩვენი ცეკვა თავისი სილამაზით, ღრმაშინაარსიანობით. სწორედ ხალხის მიერ შექმნილი ქართული ცეკვის, სიმღერების „მრავალჟამიერისა“ და „ურმულის“ ხატოვანი აღწერისადმია მიძღვნილი გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ ახლახან დაბეჭდილი ილია ზურაბიშვილის წიგნი „ხალხის შემოქმედი გენია“.

წიგნმა რომ მიგიზიდოთ და გაგიტაცოთ, საკმარისი არაა ავტორისათვის დასახული თემის მარტო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. საჭიროა ამ ცოდნას თანახლდეს იმ საქმისა და საგნის დიდი სიყვარული, რასაც წიგნი ეხება.

ილია ზურაბიშვილის აღნიშნულ შრომას სწორედ ეს სიყვარული და წარმტაცი პათოსი ახასიათებს. ავტორი უშუალოდ თვით განიცდის ხალხური შემოქმედების ამ სიდიადეს, თვით სტკბება მისი მშვენებით და ამტკბობს უმღერის და ხოტბას ასხამს იმას, რაც მისი ერის გენიით არის შექმნილი. წიგნის პირველი ნაწილი ეხება ქართულ ცეკვას. ავტორი შესავალში დამაჯერებლად აქარწყლებს იმ ლეგენდას, თითქოს ეს ცეკვა უცხო სათავოდან—მეზობელ ლეკებიდან მომდინარეობდეს. საუკუნეთა მიღმა მიდის ქართული ცეკვის წარმოშობა და იგი იმდენად განსხვავდება ლეკთა ცეკვისაგან, რომ ქართული ცეკვის თავისთავადობა ეჭვმიუტანელია. თუ ლეკთა ეს ცეკვა პლასტიკური პაექრობაა ორ მამაკაცს შორის და თავისთავად ლამაზია, თუ მათ ცეკვაში ფეხის ტექნიკა თვითმიზანია, ქართულ ცეკვაში იგი დამხმარე საშუალებაა იმ მიზნის განსახორციელებლად, რაც მის არსს შეადგენს. ქართული ცეკვა ქალვაჟთა ტრფიალების წარმტაცი პოემაა და როგორც ყველა ეპიკურ დიდ პოემას ახლავს თავისი შესავალი, სიუჟეტის განვითარება და დასასრული, ასევე ცეკვა „ქართულიც“ ამ ნაწილებისაგან შედგება. ავტორი მართებულად თვლის „ქართულის“ შესავლად ლავლურს და მოსწრებულად, დიდი შოთას სიტყვით ახასიათებს მას, როგორც „შორით ბნედას, შორით ალვას“, ცეკვის სიუჟეტის განვითარების ქვაკუთხედად მიაჩნია „კაცსა მიხვდეს, რას ეძებდეს, უნდა პოვნა“, ხოლო ცეკვის დასასრული გამოხატავს—„სიყვარული აგვამაღლებს“. ამ სიუჟეტზეა გაშლილი ქართული ცეკვის აღწერა და ავტორი ხანდაზმულ მეუღლეთა ცეკვის მხატვრულად აღწერით ცოცხლივ წარმოგვიდგენს კდემამოსილებით აღსავსე ამ ტრფიალების პოემის წარმტაც სილამაზეს.

წიგნის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ეს წარმტაცი ცეკვა აღწერილია ხატოვნად, მხატვრულად, დიალოგების საშუალებით. ხალხური შემოქმედების ამ იშვიათი ნიმუშის ამ ხერხებით გადმოცემა პირველი ცდაა ქართულ ლიტერატურაში, ცდა მეტად მოსაწონი და გამართლებული. ამავე ხერხებით აგვიწერს ავტორი საქართველოს ყველა კუთხეში ცნობილ სანადიმო სიმღერას გრძელ ანუ კახურ მრავალჟამიერს. მართებულად აღნიშნავს ავტორი, რომ კახური მრავალჟამიერი სმენა დამატყვევებელი ბგერათა ნაკადია, იგი სადღესასწაულო, გრძნობათა ზეაღმფრენ ჰიმნს უფრო მოგაგონებთ და მსმენელზე ისე მოქმედობს „ვით თვალუწვდენელი ზღვის ტალღების წყნარი, მაგრამ მედიდური ჩქეფა, რომელიც თანდათან მატულობს და ზავთიანდება“. აგვიწერს რა მხატვრულად ავტორი ამ სიმღერის შესრულებას ნადიმზე, დაასკვნის, რომ „ამ უაღრესად მაჟორულმა სიმღერამ, მგზნებარემ და მხნეობით სავსემ, ყველანი ერთის გრძნობით შეგვაკავშირა, ერთმანეთს დაგვამსგავსა, მთლიან ერთად შეგვკრა“. ეს გმირული სიმღერა, ამბობს ავტორი, გვაგონებს ჩვენი ერის მშრომელთ, რომელნიც თავიანთი გმირობის მატიანეს წერდნენ თავიანთი სისხლით და ოფლით, თავიანთი ტანჯვით და სიხარულით, მშრომელებისა, რომელთა ცხოვრება იხატებოდა „მრავალჟამიერში“, „ნადურში“, „ხელხვავსა“, ცეკვა „ქართულში“, „ხორუმში“ და ხალხის გენიის სხვა მრავალ სახეში.

წიგნის უკანასკნელი ნაწილი ეხება „ურმულს“, რომელსაც ავტორი ფიქრის სიმღერას უწოდებს, მთელი ხალხის ფიქრის სიმღერას. სად და რა ვითარებაში შეეძლო ძველად ჩვენს გლეხს ფიქრს მისცემოდა, თუ არა ურმის კოფოზე. ძნელია ამ სიმღერის აღწერა, „სხეული მას არა აქვს და სიმკვრივე, ფერი და გემო, ვერ შეეხები, ვერ დაინახავ, ვერც იგემებ. ისმენ რაღაც კილოიან ბგერებს, თილისმურად ერთმანეთთან შერწყმულს და ამავე დროს განცვიფრებით გრძნობ, რომ შენს წინაშე სხეულიც არის და ფერიც. იგი თითქოს გეხება კიდეც, ვინაიდან გულში გწვდება, გაღელვებს და თითქმის ფიზიკურადაც აღგძრავს“. (გვ. 67). ურმული, ამბობს ავტორი, ეს ჩვენი ძველი დროის გლეხების ფიქრის სიმღერაა, ფიქრი ცხოვრების უკუღმართობაზე, ფიქრი გაცუდებულ შრომაზე, ფიქრი ცოლშვილის შიმშილზე, შიშვლობაზე, მაშინდელი გლეხის მწარე ბედზე. ურმული ეს იყო ტკბილი ოცნება ალალმართალ ცხოვრებაზე, ეს იყო ფიქრი წარსულში ადამიანის უთანასწორობაზე.

თავისუფალ, ფრთებგაშლილ თანამედროვე ცხოვრების მომსწრეს — ჩვენს მშრომელებს უყვართ თავიანთი ერის წარმტაცი სიდიადის მაჩვენებელი ცეკვა—„ქართული“, უყვართ ლაფი ერის სანადიმო მრავალჟამიერი, უყვართ ურმული, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა დუხჭირს განიცდიდნენ ძველად ჩვენი წინაპარნი და რამდენი ბრძოლა იყო საჭირო, რომ დღევანდელი დღისათვის ძეიღწიათ.

სარეცენზიო წიგნი მის ავტორს ი. ზურაბიშვილს დიდი სიყვარულით დაუწერია. ეს წიგნი კარგი საჩუქარია ქართველი მკითხველებისათვის.

ა. ბურთიკაშვილი

დ. კლდიაშვილის სახლი-მუზეუმი

დღეს სოფელ სიმონეთში (ჩხარის რაიონი) გაიხსნება გამოჩენილი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის სახლი-მუზეუმი, სადაც მოწყობილია აგრეთვე დ. კლდიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენის პირველ განყოფილებაში წარმოდგენილია ფოტოსურათები, მონტაჟები და დოკუმენტალური მასალები დავით კლდიაშვილის წინაპართა შესახებ.

მეორე განყოფილებაში ნაჩვენებია დავით კლდიაშვილის მოწაფეობის ამსახველი მასალები.

მუზეუმში წარმოდგენილია იმ სასწავლებლების სურათები, სადაც სწავლობდა დ. კლდიაშვილი.

მესამე განყოფილების მასალები აშუქებენ დ. კლდიაშვილის სამხედრო სამსახურის პერიოდს. ამ განყოფილებაში, გარდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი მასალებისა, წარმოდგენილია დ. კლდიაშვილის აღნიშნული პერიოდის ფოტოსურათები.

მეოთხე განყოფილებაში მოთავსებულია დოკუმენტები და მასალები დავით კლდიაშვილის სამხედრო სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

შემდეგ განყოფილებათა თემაა დავით კლდიაშვილი და ალექსანდრე ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი და აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი და ვაჟა-ფშაველა.

იქვეა მოთავსებული ფოტორეპროდუქციები: „აკაკი წერეთელი 80-იან წლებში“, „აკაკი წერეთელი—იუბილარი ყვავილებით მოკაზმულ ეტლში“, „ქუთაისი 80-იან წლებში“, „აკაკის იუბილე ქუთაისის თეატრში“, „აკაკი წერეთელი დ. კლდიაშვილის მოთხრობა „მრევლის“ შესახებ“ და სხვ.

შემდეგ განყოფილებაში მოცემულია მასალები დ. კლდიაშვილის ურთიერთობის შესახებ ცნობილ მოღვაწეებთან. ამავე განყოფილებაში ნაჩვენებია აგრეთვე ფოტორეპროდუქცია: „დ. კლდიაშვილი და ია ეკალაძე“, „დ. კლდიაშვილი და ვ. ბარნოვი“, „ვ. ბარნოვის წერილი დ. კლდიაშვილისადმი“ და სხვ.

ცალკე განყოფილებად წარმოდგენილია ფოტორეპროდუქცია დ. კლდიაშვილის ოჯახის, ნათესავებისა და მეგობრებისა, სახელდობრ, „სახლი, სადაც ცხოვრობდა დ. კლდიაშვილის ოჯახი სოფელ სიმონეთში“, „წყარო სოფელ სიმონეთში“ (კლდიაშვილის ეზოსთან), „დ. კლდიაშვილის მეუღლე მარიამი“, „დ. კლდიაშვილი თავის მეუღლესთან“, „დ. კლდიაშვილი ცოლშვილში“, „დ. კლდიაშვილის მეუღლის მშობლები“ და ა. შ.

მომდევნო განყოფილებაში ვრცლად არის წარმოდგენილი ცნობილი ქართველი მოღვაწეების წერილები და მისალმებანი დ. კლდიაშვილისადმი. შემდეგი განყოფილება შეეხება დ. კლდიაშვილის შემოქმედებას. იქვე მოცემულია დ. კლდიაშვილის გამოქვეყნებულ ნაშრომთა ქრონოლოგია. განყოფილებაში ნაჩვენებია დ. კლდიაშვილის 40 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილე 1930 წელს. აქვე წარმოდგენილია უამრავი მისალმებანი დ. კლდიაშვილისადმი.

შემდეგ განყოფილებაში წარმოდგენილია მასალები დ. კლდიაშვილის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ. აქვეა მოცემული სხვადასხვა ადგილიდან მიღებული სამძიმრის დეპეშების ფოტოასლები.

ბოლო განყოფილებაში წარმოდგენილია კრიტიკული შენიშვნები დ. კლდიაშვილის შემოქმედების შესახებ.

ყველა ექსპონატს, მხატვრულ მაკეტს და სხვა მასალებს დართული აქვს მხატვრულად და კალიგრაფიულად გაფორმებული განმარტებითი ტექსტები.

დღეს დ. კლდიაშვილის სახლ-მუზეუმის საზეიმო გახსნას დაესწრებიან მწერლები, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის დარგის მუშაკები და ადგილობრივი მშრომელები.

გრ. ზაქარაია

სიკვდილმისჯილი რვა ბერძენი დემოკრატის ნათესავთა მიმართვა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

ათენი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). ათენის სასამართლოს მიერ სიკვდილმისჯილ ბერძენ დემოკრატთა ნათესავებმა შემდეგი მიმართვა გაუგზავნეს საბჭოთა მთავრობის მეთაურს, გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს:

„დღეს, როცა საბერძნეთის საკითხს იხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როცა ყველას სურს შეწყდეს საბერძნეთის ტრაგედია, როცა ამდენ ღონისძიებას ხმარობენ, რათა იპოვონ გადაწყვეტილება, რომელიც ბოლოს მოუღებს საბერძნეთის საკითხს, საბერძნეთის სამხედრო სასამართლომ კვლავ გამოიჩინა მთელი თავისი სისასტიკე და საშინელი უსამართლო განაჩენი გამოიტანა.

სასამართლომ რამე დამამტკიცებელი საბუთის წარუდგენლად ორგზის და სამგზის მიუსაჯა სიკვდილი რვა კაცს, რომელთაც არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ. იგი დაეყრდნო მხოლოდ „თავისმკვლელის“ (მოკლულის) არავანისის აღიარებას და პოლიციის ორგანოების ჩვენებას, რომელიც მხოლოდ ამ ყბადაღებული აღიარების გამეორება იყო.

ყოველივე ეს იმიტომ მოხდა, რომ მსჯავრდადებულებმა ამხილეს, თუ რა წამება მძვინვარებდა პირეის ასფალიაში (ასფალია არის საზოგადოებრივი წესრიგის სამინისტროს ათენის განყოფილება, რომელიც უმთავრესად ეწევა „კომუნიზმთან ბრძოლას“.—რედაქციის შენიშვნა).

ბრალდებულთაგან წამება განიცადეს ბარბუნაკისმა, ილიოპულოსმა, ფამელისმა, ოტრილაკოსმა, სარაძემ და იოანიდისმა, რომელთაც ხიკვდილი აქვთ მისჯილი, მარიამ მუდესმა, რომელსაც მისჯილი აქვს მუდმივი პატიმრობა, გეორგია სპერნოვასილომ, სპელა სიფონიუმ და სოფიანოპულოსმა.

„კომუნიზმის დევნის განყოფილების“ ჯალათი ვოლტერაკისი, რომელსაც უწოდებენ იატრისს, კიხს, მოსკოოსს, გიორგოსს და რომლის ნამდვილი სახელი არის იოაკიმე, სხვა სახის წამების გარდა, მამაკაცების მიმართ იყენებდა შემდეგი სახის წამებას—სასქესო ორგანოების სრესასა და დაგრეხას.

ასეთი წამებით მოკვდა ტაქსისი.

ევანგელია სარაძის, რომელსაც სხეული ჭრილობებით ჰქონდა დაფარული, გაშიშვლებულს განუწყვეტლივ სცემდნენ მთელი დღეობით. „ფალანგა“, ცეცხლით წამება, ყველა წამება სცადეს ამ 25 წლის ქალიშვილის მიმართ.

იოანიდისი, რომელიც სურდათ ცრუ მოწმედ გაეხადათ ბარბუნაკისის წინააღმდეგ, აწამეს „ფალანგით“, სასქესო ორგანოების სრესით, თმის წიწკნით.

წამება ისეთი იყო, რომ ასფალიაში მომუშავე კაცმა არავანისმა თავი მოიკლა. წერილში, რომელიც სასამართლოში წაიკითხეს, იგი თავის დას სწერდა: „ვეღარ ამიტანია წამებულთა კივილი“.

ქსენაკისი ჭკუაზე შეიშალა და იძულებულ გახდნენ, რომ მისი „საქმე“ ამ პროცესიდან გამოეყოთ.

პირეის ასფალიამ, რომელსაც სურდა შეექმნა ზოგიერთი აგენტის საბუთიანი მოქმედების შთაბეჭდილება, დააპატიმრა ზოგიერთი ძველი კომუნისტი, გამოიყენა მათდამი წამება ისევე როგორც სხვებისადმი, პირეის კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელებად გამოაცხადა ისინი.

ასე ინსცენირებულ იქნა პროცესი და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსცენირება სასამართლოში ამხილეს და პოლიციის აგენტები სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მხილებით გაბოროტებულმა მოსამართლეებმა ეს საშინელი განაჩენი გამოიტანეს. უფრო სწორად გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მაშინ, როცა ჩვენი ადამიანები ვერ დაიყოლიეს და როცა შემდგომ მაკრონისოსზე, ამდენი პატიოსანი ადამიანის ამ საზარელ სასაფლაოზე, ისინი კვლავ თავისი თავისა და თავისი იდეების ერთგული დარჩნენ. მაკრონისოსზე ისინი მთელი საათობით იდგნენ შიშველნი, ქვიშით გატენილი ტომრებით დატვირთულნი, მცხუნვარე მზეში, ქარსა თუ წვიმაში. მათ ულმობლად სცემდნენ, აშინებდნენ, რათა გაეტეხათ მათი მორალური ძალა.

ორგზის და სამგზის სიკვდილის მისჯა განსაკუთრებით გვაშფოთებს და ეცდილობთ გავიგოთ, რათ უნდათ ეს მეორეჯერ და მესამეჯერ გამოტანილი განაჩენები. იქნებ იმისათვის, რომ შეწყალების საბჭომ არ განიხილოს მსჯავრდადებულთა საქმე? მათგან ყველაფერი მოსალოდნელია.

ბატონო სტალინ, ჩვენმა ქვეყანამ უკვე ბევრი სისხლი დაღვარა, ადამიანები იღუპებიან, ზოგს ხვრეტენ „აღმასრულებელი რაზმები“ და კიდევ ბევრი დაიღუპება, თუ რამე არ გაკეთდა ლეიკ-საქსესში.

ბატონო სტალინ, თქვენ მოგმართავთ და მხოლოდ თქვენგან ველით ჩვენი საყვარელი ადამიანების ხსნას. ვშიშობთ, რომ ყოველ წუთს შეუძლიათ ისინი მოულოდნელად დახვრიტონ.

უდიდესი გულისტკივილით შემოგყურებთ თქვენ ცრემლით სავსე თვალებით და გევედრებით იხსნათ ჩვენი ერთადერთი მარჩენლები.

გააკეთეთ, რაც შეიძლება, რათა არ დახვრიტონ ასეთი კეთილშობილი ადამიანები, ასეთი პატრიოტები.

უსაზღვრო მადლობით“ — (ხელმოწერა).

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

სასკოლო ქონების მითვისებისათვის

სტალინირის რაიონის სოფელ აჩაბეთიდან სოფლკორი გვწერდა: არასრული საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ბაბუციძე ითვისებს სასკოლო ქონებას—სკოლის ნაკვეთში მიღებული ხორბალი და ხილი გაყიდა და შემოსავალი მითვისა.

წერილი შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტს. როგორც საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ი. კოლიევი გვატყობინებს, ბაბუციძის მიმართ წაყენებული ბრალდებები დადასტურდა. აღნიშნული სკოლის საკითხი ამას წინათ განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის ბიურომ, რომელმაც სკოლის ნაკვეთში მიღებული ხორბლისა და ხილის განიავებისათვის ბაბუციძე გადააყენა თანამდებობიდან და მისი საქმე გადასცა საგამომძიებლო ორგანოს.

თაღლითი მოანგარიშე და უღარღელი თავმჯდომარე

ყველა პირობა აქვს უხვი მოსავლის მისაღებად სოფელ ჩალხეეთის (ორჯონიკიძის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, მაგრამ ანგარიშწარმოებისა და შრომის მოუწესრიგებლობის გამო, სოციალისტური შეჯიბრების გაუშლელობის შედეგად დაბალია მოსავლიანობა, დაბალია შრომადღის ღირებულება,—გვწერდა სოფლკორი.

წერილი შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომს. როგორც რაიკომის მდივანი ამხ. ზ. კიკნაძე გვატყობინებს, წერილში ჩამოთვლილი ფაქტები დადასტურდა.

რაიკომის ბიურომ განიხილა აღნიშნული საკითხი და დასახა საჭირო ღონისძიება, ხოლო კოლმეურნეობის მოანგარიშე გაათავისუფლა სამუშაოდან.

— მიხაკო, იმ ცხრა რესპუბლიკის და ოლქის დელეგაცია მოიმგზავრება ჩვენთან, სადაც ციტრუსების და ჩაის გაშენებას აპირებენ. დელეგაცია 30 კაცისაგან შედგება. ახლა ნატანებში არიან და ორ საათში აქ იქნებიან. — სულმოუთქმელად წარმოთქვა აღელვებულმა და გაოფლიანებულმა აგრონომმა და დიასახლისს მიაჩერდა.

თამარი იღიმებოდა, მშვიდად შეჰყურებდა თავმჯდომარეს და აგრონომს.

— ნუ სწუხართ, ორ საათში ორმოცდაათი კაცის დასახვედრად ვიქნებით მზად.

და მართლაც, მალე გაჩირაღდნებული იყო ორსართულიანი სახლის რვა ოთახი. ორმოცდაათი კაცისათვის გაშლილი იყო სუფრა. ოთახებში ბუხრები გიზგიზებდა.

სრულ ცხრა საათზე სტუმრებით სავსე რამდენიმე მანქანა ზედიზედ შედგა თამარ ჩხაიძის სახლის წინ. დიდ, ლამაზ დარბაზში პირველად შემოვიდა ვერა ბაბიჩი ნიკოლაევის ოლქიდან, მხიარული, სიცოცხლითა და ხალისით სავსე, აღტაცებული ამდენი მასპინძლებით, ასეთი გულღია სახლით.

— გამარჯობათ, მეგობრებო! — თქვა ისე, თითქოს თავის სახლში შემოვიდა, თითქოს თავის დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრებს მიესალმა.

შემოვიდნენ სხვებიც — იმიერკარპატის უკრაინიდან, მოლდავეთიდან, კრასნოდარის მხარიდან, დაღისტნიდან... სწრაფად გაიბა საუბარი მასპინძლებსა და სტუმრებს შორის. საუბარი უმთავრესად ყინვისგამძლე ციტრუსებს და ჩაის ჯიშებს ეხებოდა.

—ის აზრი, რომ ციტრუსებმა თავის უკიდურეს საზღვრებს მიაღწიეს და ჩრდილოეთ რაიონებში ვერ იხეირებენ, უკუგდებულია ამხ. ვლასენკოს ცდებით, — უყვება ვერა ბაბიჩი ელენე ხელაძეს. — ეს უკვე უარყოფილია საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიერ. ჩვენ თქვენთან ჩამოვედით არა იმიტომ, რომ გამოვარკვიოთ, გაიხარებს თუ არა ჩვენში ციტრუსი, არა, ეს ჩვენთვის გამორკვეულია. ეს ამხანაგმა სტალინმა თქვა, ხოლო რასაც სტალინი ამბობს, იგი ყოველთვის ჭეშმარიტებაა. ჩვენ ჩამოვედით იმისათვის, რომ უფრო ფართოდ გავეცნოთ ციტრუსების საქმეს, გავეცნოთ თქვენს გამოცდილებას, ვისწავლოთ თქვენგან.

ძალაპინძელი ძლივს ახერხებს სტუმრების სუფრასთან დასხმას. პირველ სიტყვას იმიერკარპატის ოლქის საბოფლო-სამეურნეო განყოფილების უფროსი ამხ. ერმაკოვი იღებს.

—მე აღტაცებული ვარ საქართველოთი, მისი უძველესი კულტურით. ძღიდარია თქვენი მიწა. აქ ჩამოსვლამდე ვიყავით რამდენიმე ასეთ კოლმეურნეობაში. ვიყავით აი ასეთ ოჯახებში, როგორიცაა ჩვენი დღევანდელი დიასახლისის, თამარ ჩხაიძის ოჯახი. იგი დღეს 50 კაცს გვიმასპინძლდება, და ასე უხვად. რომელ ოჯახშიც კი მივედით, ყველგან ასეთი სიუხვე ვნახეთ. ჩვენ პირველად არ გვჯეროდა, რომ ესენი რიგითი კოლმეურნეების ოჯახები იყო. ციტრუსებმა და ჩაიმ, ვენახმა და თამბაქომ აქ ყველა ოჯახი გაამდიდრა. ჩვენ ჯერ არა გვაქვს ასეთი ოჯახები, მაგრამ მე მახარებს ის, რომ მალე გვექნება. ჩვენ დავბრუნდებით და ვეტყვით ჩვენს კოლმეურნეებს, რომ ასეთ სიმდიდრეს თქვენ გაძლევთ ჩაი, ციტრუსი, ვენახი, თამბაქო. 25.000 მანეთი მხოლოდ ფულადი შემოსავალი აქვს წლიურად თქვენს კოლმეურნეს. ეს ხომ მოსამსახურის წლიურ საშუალო ხელფასზე მეტია! ის ვინც თავისი თვალით არ ნახავს, თქვენი კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებს, ვერ წარმოიდგენს ასეთ მოვლილ ფართობებს. ეს ნაშრომი კი არ არის, სასწაულია. ბევრი ჰყავს საქართველოს ასეთი სასწაულმოქმედი გმირი. ვუსურვებ ყველა ქართველ კოლმეურნეს ისეთსავე წარმატებებს შრომაში, როგორიც აქვთ მიხაკო ორაგველიძეს, ელენე ხელაძეს, კარლო გორგილაძეს, ვასილ ჯაბუას. მათი სასახელო გზით, გმირთა დიდი გზით გეკლოთ ყველას, — თქვა ამხ. ერმაკოვმა.

გმირთა ამ გზით ძლევამოსილად მიემართება კოლმეურნეთა მრავალმილიონიანი არმია, რომელსაც კომუნიზმისათვის ბრძოლაში აღაფრთოვანებს ლენინ-სტალინის დიადი იდეები, დიდი სტალინის მშობლიური მზრუნველობა.

გრიგოლ ჩიქოვანი

გმირთა გზა

პირველად ისტორიაში მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში გახდა შესაძლებელი გამოგვევლინა, თუ რა სასწაულების მოხდენა შეუძლია შრომას, რომელიც დიდების, პატიოსნების, სახელის, გმირობისა და ვაჟკაცობის საქმეადაა ქცეული ჩვენში.

ჩვენი კოლმეურნენი, სასოფლო-სამეურნეო ინტელიგენცია აღჭურვილი არიან საბჭოთა, მოწინავე აგრობიოლოგიური მეცნიერებით. კოლმეურნე გლეხი თავისი ხელით სცვლის ბუნების სახეს, უმორჩილებს მას თავის ნებას, ავითარებს და დღითიდღე ახალ საფეხურზე აჰყავს სოფლის მეურნეობა.

* * *

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ვენახს დიდი ხანია საპატიო ადგილი უკავია. ასევე პირველხარისხოვანი ადგილი დაიკავეს ამ ოცი წლის მანძილზე ციტრუსებმა, ჩაიმ და თამბაქომ. საქართველო მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ქვეყნად იქცა.

მევენახეობის ნამდვილი აყვავება საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით მევენახეობა-მეღვინეობა წვრილი, პრიმიტიული მეურნეობიდან მსხვილ, სოციალისტურ მეურნეობად გადაიქცა. დღეს საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტი და ადგილობრივი მეურნეობის საწარმოები ყოველწლიურად მილიონნახევარზე მეტ დეკალიტრ ღვინოს ამზადებენ. 1950 წლისათვის საქართველოს ღვინის პროდუქცია 2.030.000 დეკალიტრს მიაღწევს.

ჩვენი კოლმეურნე, მუშა, ინტელიგენტი ისევე გულწრფელად ხარობს სხვისი სახელოვანი შრომით და წარმატებით, როგორც თავისი წარმატებით და გამარჯვებით. ჩვენ ისევე გულწრფელად გვახარებს სოფელში თუ ქალაქში გაყვანილი ახალი გზა, გათხრილი ახალი არხი, აშენებული ახალი ხიდი, ან ჰიდროელექტროსადგური, შეძენილი ტრაქტორი თუ კომბაინი, როგორც საკუთარი სახლის აშენებით და ქონების შეძენით გაიხარებდნენ წინათ. ეს დიადი გარდაქმნები ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენში, ისინი ახლა გაკვირვებას აღარ იწვევენ.

არ გვიკვირს, როცა მაიაკოვსკელ მერგოლურს ვალერიან ბახტაძეს სამი ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე, ნაცვლად 50 ცენტნერისა, 148,3 ცენტნერი ყურძენი მოჰყავს, ან ზუგდიდელი ბრიგადირი ამბაკო როგავა 6,6 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 7.128 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. ასეთი მამაცური, თავგამოსაჩენი შრომა ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა ჩვენში.

შილდის კოლმეურნეობა „მესვეურში“ (ყვარლის რაიონი) ალექსი ურჯიკაშვილს ერთი ჰექტარი ვენახი აქვს მიჩენილი. „მესვეურის“ ვენახი ხუმრას და ყადორის მთების ქვევით, ქალიაყვანის გორის ძირას, ყვარელ-თელავის გზატკეცილის მარცხენა მხარესაა გაშლილი. ურჯიკაშვილის ნაკვეთში ფართო და ძარღვიანი ფოთლებითაც კი შეატყობ, რომ მზრუნველ ხელს არაფერი დაუკლია ვენახისათვის.

— რაც თესვის დროს არ გითქვამს, იმას მკის დროს ვერ იტყვი, — გვეუბნება ურჯიკაშვილი, ტანმორჩილი, შუახანს გადაცილებული გლეხი. ოდნავ მოჭუტულ თვალებს ლაპარაკის დროსაც არ აშორებს ვაზს. აქ სარეველა ბალახს ამოგლეჯს, იქ ზედეტ ყლორტს გამოფურჩქნის. — თუ თავიდანვე გაუმართავ ხელს ვენახს, ვერავითარი გვალვა, ვერავითარი ცუდი ამინდი ვერ ავნებს მას. გასული წლის ოქტომბერში ღრმად გადავბარე, ნოემბერში, იანვარში და მარტში მოვხანი. შემდეგ წვრილად გადავთოხნე, ორჯერ ნაკელი შევიტანე, სამჯერ გამოვფურჩქნე და შვიდჯერ შევწამლე. არ შეიძლება მიწამ შრომა არ დააფასოს.

მტევნებით დახუნძლული ვაზი ისეა დაზეიქილი, რომ გგონია ნაყოფის სიმძიმეს ვერ აიტანსო. ალექსი ურჯიკაშვილი ახლა ყურძნის უხვ მოსავალს იღებს, მაგრამ მაინც არ არის კმაყოფილი.

— იქნისში რომ არ დავესეტყვე, 130 ცენტნერს მივიღებდი, — გულისტკივილით ამბობს მევენახე, და ისევ ვაზისაკენ გაურბის თვალი. დაესეტყვაო კი არ ამბობს ურჯიკაშვილი, დავესეტყვეო. საკოლმეურნეო ქონების დაზიანებას იგი საკუთარი ქონების დაკარგვასავით გახიცდის. აი რაშია საიდუმლოება სოციალისტური მეურნეობის უმაგალითო წარმატებისა. დღევანდელი გლეხი საზოგადო საქმეს თავის პირად საქმესავით უყურებს.

ვენახის მოსავლიანობა საქართველოში 1947 წლამდე დაბალ დონეზე იდგა. ეს მრავალი მიზეზით იყო გამოწვეული. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წ. 15 აპრილის პლენუმმა ჩვენს მევენახეებს დაწვრილებით მიუთითა ამ მიზეზებზე და მათი აღმოფხვრის საშუალებებზე.

ჩვენმა კოლმეურნეებმა კარგად გაითვალისწინეს ეს მითითება. გაჩაღდა სოცშეჯიბრება, გამრავლდა სტანოვური ბრიგადების და რგოლების რიგები. მევენახეთა დაძაბულმა შრომამ 1948 წელს შესანიშნავი შედეგი მოგვცა. ურჯიკაშვილის თქმისა არ იყოს, მიწამ დააფასა ნაშრომი.

რას ნიშნავს დააფასა? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მიწამ მოისურვა უხვი მოსავლის მოცემა? არა. წავიდა ის დრო, როდესაც მოსავლის სიუხვე მიწაზე იყო დამოკიდებული. ადამიანმა ისე გარდაქმნა მიწა, ისე გაამდიდრა და გაანოყიერა, რომ ახლა თვითონ იღებს მიწიდან იმდენ მოსავალს, რამდენსაც განიზრახავს. თვითონ უკარნახებს მიწას მოსავლის რაოდენობას. ამიტომაა, რომ წელს ყველგან უხვად ასხია ვაზს, ამიტომაა, რომ კახეთში, შუა და ქვემო ქართლში, იმერეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ.

* * *

ბევრი რესპუბლიკა იცნობს მახარაძის რაიონის სოფელ შრომას, რომელსაც წინათ მიქელ გაბრიელი ერქვა. კოლმეურნეობის დაარსების დღიდან ხალხმა მას სახელი გამოუცვალა და შრომა უწოდა.

შემთხვევით როდი აირჩია ხალხმა ეს სახელი. მართლაც შრომის სოფელია იგი. 1.100 ჰექტარ პლანტაციას უვლის აქაური გლეხობა. ამ ოცი წლის წინათ კი ფიქრადაც არ მოუვიდოდათ, რომ ჩაი და ციტრუსები ასეთ დიდმნიშვნელოვან ადგილს დაიკავებდნენ მათ მეურნეობაში.

კოლმეურნეობამ 1938 წელს 366.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოიწია, 1948 წელს კი 600.000 კილოგრამი. მარტო ჩაის ფოთლიდან შარშან კოლმეურნეობამ რამდენიმე მილიონი მანეთი შემოსავალი მიიღო.

1947 წელს მერგოლურმა ელენე ხელაძემ თავისი რგოლის სამ ჰექტარ პლანტაციაში 45 ტონა და 300 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოიწია. ამისათვის მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ხელაძის წარმატებით აღფრთოვანებულმა მისი რგოლის წევრებმა ტატიანა ჩხაიძემ და ნინო გოგოძემ შარშან პირობა დასდეს, რომ ნახევარ-ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 7.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს მოიყვანდნენ. ეს პირობა მათ პირნათლად შეასრულეს. ასეთი მოსავლის მოყვანისათვის მათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ. ხოლო ელენე ხელაძე სამი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 10.650 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოყვანისათვის, რაც სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების უფლებას იძლევა, ლენინის ორდენით იქნა დაჯილდოებული.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობამ ამხანაგ სტალინის ინიციატივით დადგენილება მიიღო სუბტროპიკული კულტურების საქართველოდან სამხრეთ უკრაინაში, კრასნოდარის მხარეში, ყირიმში, მოლდავეთში, შუა აზიის რესპუბლიკებში, აზერბაიჯანის დასავლეთ რაიონებში და დაღისტანში გავრცელების შესახ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის კლენარულ სხდომაზე

ამერიკის შეერთებული შტატების ფარული შეთანხმება იუგოსლავიასთან

ნიუ-იორკი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში შედგა უშიშროების საბჭოს სამი არამუდმივი წევრის არჩევნები ნაცვლად არგენტინის, კანადის და უკრაინის სს რესპუბლიკისა, რომელთა რწმუნების ვადა გადის ამა წლის დამლევს.

როგორც ცნობილია, უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების. არჩევა ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 23-ე მუხლის შესაბამისად, ადგილთა სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპის დაცვით, აგრეთვე იმ ტრადიციის საფუძველზე, რომლის მიხედვით უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების ადგილზე კანდიდატურებს ყოველთვის ასახელებდნენ სახელმწიფოები, რომლებიც შესაბამის გეოგრაფიულ რაიონს ეკუთვნიან.

სწორედ ამ საფუძველზე დაასახელეს ამ სესიაზე ეკვადორისა და ინდოეთის კანდიდატურები, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კანდიდატურა, რომელიც ერთსულოვნად წამოაყენეს აღმოსავლეთ ევროპის ხუთი ქვეყნის დელეგაციებმა.

მაგრამ დელეგაციათა ჯგუფმა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურობით და ტიტოს ხროვასთან ფარული შეთანხმებით ანგარიში არ გაუწია ამ სახელმწიფოთა ნებას, უხეშად დაარღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპები და წამოაყენა იუგოსლავიის კანდიდატურა.

კენჭისყრის პირველ ტურში ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნენ ეკვადორი და ინდოეთი. იუგოსლავიამ, მიუხედავად ფარული შეთანხმებისა, ხმის სათანადო რიცხვი ვერ მიიღო. იძულებული იყვნენ კენჭისყრის მეორე ტურზე გადასულიყვნენ, და მხოლოდ ზოგიერთ დელეგატზე ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ზეგავლენის შემდეგ იუგოსლავიამ მიიღო საჭირო მინიმუმი — 39 ხმა. ჩეხოსლოვაკიას ხმა მისცა 19 დელეგაციამ.

კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ა. ი. ვიშინსკიმ სსრ კავშირის დელეგაციის სახელით გააკეთა შემდეგი განცხადება:

„გენერალური ასამბლეის ამ სხდომაზე გამოქვეყნებულმა უშიშროების საბჭოს არჩევნების შედეგებმა სავსებით ცხადყვეს, რომ არჩევნების დროს დარღვეულია წესდება, 23-ე მუხლი, რომელიც მოითხოვს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა არჩევნებში დაცულ იქნას ადგილთა სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპი. დარღვეულია აგრეთვე მტკიცედ დამკვიდრებული ტრადიცია, რომლის თანახმად უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა ადგილზე კანდიდატურებს ყოველთვის ასახელებდნენ სახელმწიფოები, რომლებიც შესაბამის გეოგრაფიულ რაიონს ეკუთვნიან.

ორივე ეს პრინციპი დღემდე მტკიცედ იყო დაცული უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრთა ყველა არჩევნების დროს. ახლა ეს პრინციპები უხეშად არის დარღვეული. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ ევროპის ხუთი ქვეყნის დელეგაციებმა ერთსულოვნად დაასახელეს ჩეხოსლოვაკიის კანდიდატურა. იუგოსლავიის კანდიდატურა კი ამ ქვეყნებს არ დაუსახელებიათ. მაგრამ, უშიშროების საბჭოს ყველა წინა არჩევნების პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, ამ შემთხვევაში დელეგაციათა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ მხარი არ დაუჭირა ჩეხოსლოვაკიის კანდიდატურას. ამ კანდიდატურის ნაცვლად მხარი დაუჭირეს იუგოსლავიის კანდიდატურას, თუმცა იგი არ დაუსახელებია და მისთვის ხმა არ მიუცია არც ერთ დელეგაციას, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის რაიონს ეკუთვნის.

იუგოსლავია უშიშროების საბჭოში გაჰყავთ არა წესდების პრინციპებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისი, თავისუფალი არჩევნების შედეგად, არამედ იუგოსლავიასთან ამერიკის შეერთებული შტატების და ზოგიერთ სხვა დელეგაციათა ფარული შეთანხმების შედეგად, რომლებმაც, როგორც ჩანს, გადაწყვიტეს თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ ერთი მხრივ იუგოსლავიისა და მეორე მხრივ სსრ კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ურთიერთობაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია.

ასეთი მდგომარეობა არის შედეგი იუგოსლავიასთან ფარული შეთანხმებისა, რაც დადეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ზოგიერთმა სხვა დელეგაციამ, რომლებიც, ამრიგად, ვარაუდობენ გაძლიერონ თავიანთი პოზიციები უშიშროების საბჭოში, ცდილობენ რა უშიშროების საბჭო გადაქცეონ ინგლის-ამერიკის ბლოკის მორჩილ იარაღად.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგაცია მთელი სიმტკიცით აცხადებს, რომ იუგოსლავია არ არის, არ შეიძლება იყოს და არ იქნება განხილული როგორც წარმომადგენელი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა უშიშროების საბჭოში და რომ იუგოსლავიის შეყვანას უშიშროების საბჭოში სსრ კავშირის დელეგაცია განიხილავს, როგორც წესდების ახალ დარღვევას, რაც ძირს უთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თანამშრომლობის საფუძვლებს".

(ტაში დელეგატთა ბევრი სკამიდან).

ა. ი. ვიშინსკის ორჯერ შეაწყვეტინა სიტყვა თავმჯდომარემ გენერალმა რომულომ.

შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ დაიწყო ეკონომიური და სოციალური საბჭოს ექვსი არამუდმივი წევრის არჩევა. ხმის უმრავლესობით ამ საბჭოში აირჩიეს ჩეხოსლოვაკია, მექსიკა, ირანი, ამერიკის შეერთებული შტატები, პაკისტანი და კანადა.

საწარმოო აღმავლობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). ბერლინის საბჭოთა სექტორის გაზეთებმა დღეს გამოაქვეყნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაგეგმვის სამინისტროს ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება 1949 წლის მესამე კვარტალში სახალხო-სამეურნეო გეგმა.

ამ ცნობის თანახმად, მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების გეგმა შესრულებულია 109 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულება გეგმისა, რომელიც, კერძოდ, გადიდებულ ნაყოფიერებას ითვალისწინებდა, შესაძლებელი გახდა მხოლოდ მშრომელი მოსახლეობის თავდადებული შრომის მეოხებით. ლითონის დნობის გეგმა შესრულებულია 122 პროცენტით, ხის ბოჭკოს წარმოებისა — 121 პროცენტით, ელექტროენერგიისა — 114 პროცენტით და ცემენტისა — 111 პროცენტით. გამოშვებულია შარშანდელზე 137 პროცენტით მეტი ნაგლინი.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასადიდებლად გამოყენებულ იქნა გაცილებით მეტი რაოდენობის სასუქი. მოსავლიანობის გადიდების მეოხებით ღორის სულადობის გადიდების წლიური გეგმა უკვე შესრულდა 95 პროცენტით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გათვალისწინებული გეგმა 4 მილიონი ღორის მოშენებისა წლის დამლევისათვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით იქნება შესრულებული. რქოსანი პირუტყვის სულადობის გადიდების გეგმა უკვე 3 ივნისს 3 პროცენტის გადაჭარბებით იყო შესრულებული. კომერციული მაღაზიების ბრუნვის გეგმა მესამე კვარტალში 118 პროცენტით შესრულდა.

როგორც დაგეგმვის სამინისტრო აღნიშნავს, 1949 წლის მე-3 კვარტალის გეგმის წარმატებითი შესრულება გავლენას მოახდენს ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე და გააუმჯობესებს მოსახლეობის მომარაგებას.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

ჟაკ დიუკლოს გამოსვლა

პარიზი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). ჟაკ დიუკლომ ეროვნულ კრებაში გამართულ კამათში რენე მეიერი დაახასიათა როგორც „როტშილდების ბანკის კომივოიაჟერი".

„რენე მეიერი,—განაცხადა ჟაკ დიუკლომ,— არის ის კაცი, რომელმაც 1948 წლის იანვარში ჩაატარა ფრანკის დევალვაცია, რომელმაც შემოიღო „განსაკუთრებული" გადასახადები, მმოქმე